შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 39480

09/09/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული არაფინანსური აქტივების საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ ბალანსიდან ბალანსზე სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური ფასეულობა:
- მობილური ტელეფონი IPhone 4 - ერთი ცალი, საბალანსო ღირებულებით 1195 (ათას ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 956 (ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ქონების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. მიღება- ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 02.09 №92954-02 წერილი

სამსახურის უფროსი

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური